№902 2015 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ღონისძიების ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №636 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ღონისძიების ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №636 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შიდა ტურიზმის ხელშეწყობისა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №1532 განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, 2015 წლის 26-28 ივნისს ქალაქ ბათუმში ჩაატაროს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების რიგით მე-10 კონფერენცია.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**